ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ქ-ნ ლ. ჯახველაძეს

გთხოვთ იმოქმედოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის შესაბამისად.

გიორგი ალიბეგაშვილი
04.04.17 ნ

№№20446; 08/7991
04.04.17 წ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების მე-7 მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ ინიციატივით, განხილული იქნეს ქვემოთ ჩამოთვლილი გეორაფიული ობიექტების სახელდების საკითხი:

1. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლიხაურის ქუჩის შესახვევისთვის მწერლისა და დრამატურგის კიტა ბუაჩიძის სახელის მინიჭების შესახებ;
2. ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ურეკის და ანაპის 414-ე დივიზიის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე უსახელო სკვერისთვის მწერლის ოთარ ჭილაძის სახელის მინიჭების შესახებ;
3. ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, ხეივნის I ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი ჩიხისთვის ფილოლოგის, პროფესორ რევაზ სირაძის სახელის მინიჭების შესახებ.

დანართი: 8 ფურცელი

პატივისცემით,

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

06.04.17ნ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილება
ფურცელთა რაოდენობა 9 ფურცელი

№20446; 08/7991

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

2015 წლის ნოემბერში კომისიაში შემოვიდა ბუაჩიძეების საგვარეულოს სახელით, ამავე კავშირის თავმჯდომარის კარლო ბუაჩიძის №20446 წერილი, რომლითაც ითხოვს ერთ-ერთი ქუჩისთვის მწერალისა და დრამატურგის კიტა ბუაჩიძის სახელის მინიჭებას.

2016 წლის აპრილში კომისიაში შემოვიდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ნაძალადევის რაიონის გამგებლის ზაზა გაბუნიას №08/7991 წერილი, რომლითაც ითხოვს ნაძალადევის რაიონში, ურეკის და ანაპის 414-ე დივიზიის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე უსახელო სკვერისთვის მწერლის ოთარ ჭილაძის სახელის მინიჭებას.

თქვენი ზეპირი განცხადების საფუძველზე კომისია მსჯელობს თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის ფილოლოგის, პროფესორ რევაზ სირაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის დადგენილება N 14-59 -ის მე-7 მუხლის 1 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწესთან დაკავშირებული სახელდება დასაშვებია ამ პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლის შემდეგ, თუმცა ამავე მუხლში განმარტებულია გამონაკლისი შემთხვევები, რომლითაც თქვენ როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს გაქვთ ინიცირების უფლება.

არსებული წესიდან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით, თქვენი ინიცირების საფუძველზე განხორციელდეს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცელთა რაოდენობა 8 ფურცელი

№ 20446; 04.04.16
08/7991;

1. საბურთალოს რაიონში, ლიხაურის ქუჩის შესახვევისთვის მწერლისა და დრამატურგის კიტა ბუაჩიძის სახელის მინიჭება.

2. ნაძალადევის რაიონში, ურეკის და ანაპის 414-ე დივიზიის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე უსახელო სკვერისთვის მწერლის ოთარ ჭილაძის სახელის მინიჭება.

3. კრწანისის რაიონში, ხეივნის 1 ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი ჩიხისთვის ფილოლოგის, პროფესორ რევაზ სირაძის სახელის მინიჭება.

დანართი 12 (თორმეტი) ფურცელი

პატივისცემით,
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლოკის
კომისიის თავმჯდომარე ლია ჯახველაძე